



საქართველოს  
პირველი არხი

საზოგადოებრივი  
მედიის 2021 წლის  
მეოთხე კვარტლის ანგარიში

# პირველი არხი - უყურე და უსმინე ქართულს



# მნიშვნელოვანი სიახლეები/აქტივობები

## 65 საქართველოს პირველი ტელევიზია - ტელემაუწყებლობის 65 წელი

2021 წლის 30 დეკემბერს საქართველოში პირველი ტელემაუწყებლობიდან 65 წელი შესრულდა. ამასთან დაკავშირებით, პირველ არხზე დაიგეგმა მხატვრულ-მუსიკალური ფილმის გადაღება. ფილმი სატელევიზიო ეთერის გარდა ნაჩვენები იყო კინოთეატრში.



## 2021 არჩევნები 2021

უწყვეტი ეთერი საქართველოს პირველი არხის ყველა პლატფორმაზე.



## ეთერი/ოფისის საღამაპირველ მისია

საზოგადოებრივი მაუწყებელი ძირითადად ნეიტრალურად და დივერსიფიცირებულად აშუქებდა კამპანიას.



## EBU ევროპის მაუწყებელთა კავშირის ვიზიტი

საქართველოს პირველ არხს ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) დელეგაცია ესტუმრა.



## შეხვედრა ევროკავშირის ელჩთან

პირველი არხის გენერალური დირექტორი თინათინ ბერძენიშვილი და ევროპის მაუწყებელთა კავშირის დელეგაცია ევროკავშირის ელჩ კარლ ჰარცელს შეხვდნენ.





## საქართველოს რადიოს წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის შედეგები

პირველმა არხმა საქართველოს რადიოს ეთერის, 13 აგვისტოდან - პირველ ოქტომბრამდე ჩატარებული წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა.



## ოლიმპიადები

საქართველოს პირველი არხი მაყურებელს 2022 წლის პეკინის ზამთრის ოლიმპიადას და 2024 წლის პარიზის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს შესთავაზებს.



## ტრენინგები

პირველი არხის პროექტის ფარგლებში, რომელიც შშმ პირთა მხარდასაჭერად ხორციელდება, ტრენინგები ჩატარდა.



## „გეოთხე ბრაიტონი“

საქართველოს პირველი არხის თანაპროდიუსერობით გადაღებული ქართული ფილმი „ოსკარზე“ წარსადგენად არის შერჩეული.



## ვარსკვლავების გახსნა

28 ოქტომბერს, მთაწმინდის პარკში, ირინა მათიაშვილის, თინა მგალობლიშვილის და ირმა გურიელის ვარსკვლავები გაიხსნა.





## ვიდეო ოპერატორების პროგრამა

პირველი არხის ვიდეო ოპერატორის მომზადების პროგრამის მონაწილეების შესარჩევად გასაუბრებები ჩატარდა.



## HEART OF EUROPE

საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალზე Heart of Europe საქართველოს პირველმა არხმა პროდუქცია სხვადასხვა კატეგორიაში წარადგინა.



## ვიდეორგოლი კლიმატურ ცვლილებებზე

ევროპის მაუწყებელთა კავშირის მიერ კლიმატურ ცვლილებებზე მომზადდა ვიდეორგოლი, რომელშიც საქართველოს პირველი არხი მონაწილეობს.



## „ტელესკოლის“ კიდევ ერთი აღიარება

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ 2022 წლის საუკეთესო პროექტად „ტელესკოლა“ დაასახელა.





## შექანილი ლიცენზიები:

- | კომპანია **“Discovery Corporate Services Limited”** - 2022 წლის ზამთრის და 2024 წლის ზაფხულის ოლიმპიადების ჩვენების უფლება;
- | კომპანია **“FIBA Media”** - საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ოფიციალური საერთაშორისო მატჩების ჩვენების უფლება 2022-2025 წლების განმავლობაში; აგრეთვე, ამავე პერიოდში, FIBA-ს ეგიდით ჩასატარებელი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები კალათბურთში;
- | კომპანია **“Television In Europe Limited”** - 2021 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩვენების უფლება ძალოსნობაში;
- | კომპანია **“Film Quest Entertainment”** - დეტექტიური სერიალები.
- | კომპანია **“Rai Com S.P.A.”** - სერიალების „ქალების სამოთხის“ და „პრაქტიკანტის“ ახალი სეზონები.



# მედია - ტელე/რადიო/ონლაინ



## ახალი და მიმდინარე ამბები

### | არჩევნების გაშუქება

საანგარიშო პერიოდში, ხუთ თვითმმართველ ქალაქში და 15 მუნიციპალიტეტში მერების ასარჩევად მეორე ტური გაიმართა. ბრძოლის მთავარი ეპიცენტრი თბილისი და თვითმმართველი ქალაქები იყო.

**საქართველოს პირველი არხის** მიზანს წარმოადგენდა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო კამპანია და საარჩევნო პროცესი გაშუქებულიყო დაბალანსებულად და მიუკერძოებლად, ყველა საერთაშორისო სტანდარტისა და იმ ღირებულებების დაცვით, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს.

**საქართველოს პირველი არხი** მეორე ტურს საგანგებო რეჟიმში აშუქებდა.

**პირველმა არხმა** პარტიებს სატელევიზიო და რადიო ეთერი შესთავაზა. მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში, „მოამბის“ მთავარ გამოშვებაში გაშუქდა საარჩევნო სუბიექტების (როგორც კვალიფიციური, ასევე არაკვალიფიციური) ყველა მნიშვნელოვანი აქტივობა, მათი საარჩევნო პროგრამები და პოზიციები, გამოშვებებს ახლდა სურდოთარგმანი და მთავარი გამოშვება ხელმისაწვდომი იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე (ენის რეჟიმის მართვა შესაძლებელია სეტ ტოპ ბოქსის საშუალებით).

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით სპეციალური პორტალი [elections.1tv.ge](http://elections.1tv.ge) შეიქმნა, რომელიც არჩევნების თაობაზე საზოგადოებისთვის საჭირო და საინტერესო ყველა ინფორმაციას აერთიანებს.

პორტალზე ხელმისაწვდომი იყო ყველა ახალი ამბავი, რომელიც არჩევნებს ეხებოდა, **პირველი არხის** საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდს აშუქებდა.

ვებგვერდზე გამოქვეყნდა **პირველი არხის** (სატელევიზიო, რადიო, ონლაინ) მონიტორინგის შედეგები, თვითმმართველობის არჩევნების შესახებ ყოველკვირეული ინფორმაცია და სარეკლამო დროის მონიტორინგის ნუსხა.

## | კომუნიკაციების კომისიის შეფასება

საანგარიშო პერიოდში, **კომუნიკაციების კომისიამ** 2021 წლის საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგის მეორე და მესამე ანგარიში გამოაქვეყნა.

ჩატარდა ექვსი საერთო ეროვნული მაუწყებლის თვისობრივი მედიამონიტორინგი, მათ შორის **პირველი არხის**. მედიამონიტორინგის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ახალ ამბებს აშუქებდა მიუკერძოებლად.

კომუნიკაციების კომისიაში აღნიშნავენ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი მიმდინარე მოვლენებს მიუკერძოებლად და ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვით აშუქებდა, მისი სიუჟეტები და გადაცემები ამომრჩევლის ინფორმირებას ემსახურებოდა.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი ახალ ამბებს აშუქებდა მიუკერძოებლად. ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვებას, ჟურნალისტების მხრიდან პოლიტიკური შეხედულებების ღიად დაფიქსირებას და სიძულვილის ენის გამოყენებას. არხი ნეიტრალურად და დაბალანსებულად აშუქებდა ყველა კვალიფიციური სუბიექტის წინასაარჩევნო აქტივობას, ეთერს უთმობდა არაკვალიფიციურ სუბიექტებს და პირდაპირ ეთერში გადასცემდა სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების პრეზენტაციებს, ბრიფინგებს და სხვა წინასაარჩევნო აქტივობებს. არხზე შეიქმნა სპეციალური რუბრიკა, რომლის საშუალებითაც მაყურებელს ინფორმაციას აწვდიდნენ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში არსებული ადგილობრივი პრობლემებისა და მერობის სხვადასხვა კანდიდატის პროგრამული პრიორიტეტების შესახებ.



ახალ ამბებში დრო ეთმობოდათ: „ქართული ოცნება“ - 22.7% (პოზიტიური - 10%, ნეგატიური - 12%), „ნაციონალური მოძრაობა“ - 18.3% (პოზიტიური - 16%, ნეგატიური - 5%), საქართველოს მთავრობა - 16.7% (პოზიტიური - 5%, ნეგატიური - 1%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 5%-ზე ნაკლები“, - აღნიშნულია კომუნიკაციების კომისიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

კომუნიკაციების კომისიის მესამე ანგარიში მოიცავდა არჩევნების მეორე ტურს.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ განვითარებულ მოვლენებს ძირითადად დაბალანსებულად და ნეიტრალურად აშუქებდა. დრო ეთმობოდა პოლიტიკურ პროცესში ჩართულ ყველა სუბიექტს, ასევე, ყველა მნიშვნელოვან და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაციას. ადგილი არ ჰქონია სიძულვილის ენის გამოყენებას, დეზინფორმაციისა და გადაუმონწმელებელი ინფორმაციის გავრცელებას“, - აღნიშნულია კომუნიკაციების კომისიის ინფორმაციაში.

კომისიაში აცხადებენ, რომ თვისებრივი მედიამონიტორინგი ექვს საერთო ეროვნულ მაუწყებელს, მათ შორის, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხს, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას, „რუსთავი 2“-ს, „ტელეიმედს“, „ტელეკომპანია პირველს“ და „მთავარ არხს“ ჩაუტარდა. მონიტორინგი საუკეთესო დროს, კერძოდ 19:00 საათიდან 24:00 საათამდე პერიოდს მოიცავდა, ხოლო საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მონიტორინგი მთელი დღის განმავლობაში ხორციელდებოდა. რაოდენობრივი მედიამონიტორინგი 50-მდე სამაუწყებლო არხზე ჩატარდა.



## საერთაშორისო მისიების უზუსაება

არჩევნები 2021-ის მეორე ტურთან დაკავშირებით **უეთო/ოდირის** სადამკვირვებლო მისიამ შემაჯამებელი პრესკონფერენცია გამართა.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი ძირითადად ნეიტრალურად და დივერსიფიცირებულად აშუქებდა კამპანიას, კერძო ტელევიზიების მხრიდან კი, აშკარა იყო მიმხრობა ამა თუ იმ პოზიციისადმი“, - ამის შესახებ უეთო/ოდირის (OSCE/ODIHR) სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა, ალბერტ იონსონმა განაცხადა.

საანგარიშო პერიოდში **„ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა“ (NDI)** გამოაქვეყნა არჩევნების შეფასების დოკუმენტი, რომელშიც ასევე წარმოდგენილია მედიამონიტორინგის ანგარიში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, კანონის შესაბამისად, კანდიდატებს შორის ორი დებატი გამართა.

„აღსანიშნავია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა, ნიკა მელიამ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მერობის კანდიდატებს შორის ორგანიზებული დებატი დატოვა მას შემდეგ, რაც გააკრიტიკა მისი ფორმატი, უარი თქვა „ქართული ოცნების“ კანდიდატთან და მოქმედ მერთან ერთ სივრცეში ყოფნაზე. მედიის წარმომადგენლები ხშირად აღნიშნავდნენ დებატებსა და თოქ-შოუებში მმართველი პარტიის მონაწილეობაზე დათანხმების სირთულეებზე, რასაც ხშირად სხვა კანდიდატების მხრიდან მონაწილეობაზე უარის თქმა მოჰყვებოდა შედეგად“, - ნათქვამია NDI-ის დოკუმენტში.

## საზოგადოებრივი მაუწყებლის შიდა მონიტორინგის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამოაქვეყნა წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში.

საზოგადოებრივი მაუწყებელი აწარმოებდა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაშუქების შიდა მონიტორინგს.



მონიტორინგი ეხებოდა პირველი არხის და საქართველოს რადიოს საინფორმაციო გადაცემებს. მონიტორინგის მიზანი იყო საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დროის რაოდენობრივი მონაცემების დათვლა.

მონიტორინგი მიმდინარეობდა სპეციალურად შექმნილი პროგრამის საშუალებით, თითოეულ ჩანაწერზე ტელეგადაცემის/სიუჟეტის ლინკის მითითებით, ხოლო გაშუქებული ინფორმაციის დამუშავებას უზრუნველყოფდნენ სხვადასხვა პლატფორმისა და გადაცემის სპეციფიკის გათვალისწინებით დატრენინგებული მონიტორები.


მონიტორინგის პროგრამა საშუალებას იძლევა, ნებისმიერ დროს გადამოწმდეს ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები.

## I პროექტი „მრავალპარტიული საქართველო“

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ამზადებს ყოველდღიურად ოთხ საინფორმაციო გამოშვებას როგორც აზერბაიჯანულ, ისე სომხურ ენაზე. აღნიშნული საინფორმაციო გამოშვებების ტრანსლაცია ხდება შესაბამისი ონლაინ პლატფორმებით, ასევე, ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ტელევიზიების საშუალებით.

## I „მოამბის“ სინქრონული თარგმანი

საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საქართველოში აშშ-ის საელჩოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მოამბის“ სინქრონული თარგმნა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. „მოამბის“ სინქრონული თარგმანის სეტ ტოპ ბოქსებით გავრცელების პარალელურად, კონტენტი თავსდება ონლაინ პლატფორმებზე - პირველი არხის ვებ-გვერდის შესაბამის ენობრივ განყოფილებებში და ქვემოთ მითითებულ ფეისბუქ გვერდებზე:

 პირველი არხი აზერბაიჯანულად - <https://www.facebook.com/BirinciKanal>

 პირველი არხი სომხურად - <https://www.facebook.com/1tv.arajinalik/>

- 2021 წლის მეოთხე კვარტალში, პროექტის „ჩვენი საქართველო“ ფარგლებში, მიმდინარეობდა მუშაობა ვასილ მაღალფრიდის საავტორო დოკუმენტურ სერიალზე **„მოგზაურობა ისტორიაში; აბრეშუმის გზის კავკასიური მაგისტრალი“ (10 სერია; 30 წთ. ქრონომეტრაჟით)**. პროექტის პრეზენტაცია შედგა კინოთეატრში „კავია“, რის შემდეგაც ჩაეშვა პირველი არხის ეთერში. ასევე, აღნიშნული პროექტის ფარგლებში გადაღებული ვიდეოკადრებით მომზადდა 20 ვიდეოტიხარი, სახელწოდებით „ჩვენი საქართველო“, რომელიც პირველი არხისა და „ტელესკოლის“ ეთერში განთავსდა.
- **„ინგლისური ყველასთვის“** პროექტის ფარგლებში, რომელიც **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და „English book education“-თან** პარტნიორობით ხორციელდება, დასრულდა **ინგლისურის გაკვეთილების** მომზადება და აღნიშნული პროექტი მეოთხე კვარტალში დასასრულს მიუახლოვდა.
- ასევე, ეთერში ჩაეშვა ამავე პროექტის ფარგლებში მომზადებული მცირეფორმატიანი ვიდეოების ციკლი **„ინგლისური 1 ნუთში“** (400 ვიდეო - 1 წთ. ქრონომეტრაჟით). აღნიშნული ვიდეოები მოკლედ და ლაკონურად გვასწავლიან ინგლისურ ენას სხვადასხვა მიმართულებით: ლექსიკა, გრამატიკა, სლენგი, ფრაზული ზმნები და ა.შ
- მომზადდა **პროექტი „ავტოპორტრეტი“ (10 ეპიზოდი; 20-25 წთ)**, რომელიც ქართველი თანამედროვე მხატვრების შემოქმედებასა და ბიოგრაფიას ასახავს.
- განათლების კოალიციისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით გაგრძელდა პროექტი **„რჩევები მშობლებს“** და ჩაინერა კიდევ შვიდი ეპიზოდი (20-25 წთ-იანი ქრონომეტრაჟით). აღნიშნული პროექტის მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა განვითარების ხელშეწყობა და საჭირო რჩევების/რეკომენდაციების მომზადება მშობლებისთვის.
- მეოთხე კვარტალში მომზადდა და ეთერში ჩაეშვა პროექტი **„გენიოსები“ (13 ეპიზოდი, 12-15 წთ)**, რომელიც იმ ადამიანების ბიოგრაფიასა და შემოქმედებას აცნობდა მაყურებელს, რომლებმაც შეცვალეს სამყარო და რომელთა შესახებ ელემენტარული ინფორმაციის ცოდნა ნებისმიერი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია.

- ასევე, 2021 წლის მეოთხე კვარტალში, პროგრამული პრიორიტეტების გათვალისწინებით, მომზადდა ორი ახალგაზრდული პროექტი: **„წითელი სკამი“ და „Z თაობა“**. დეკემბრის თვიდან ეთერში ჩაეშვა **„Z თაობა“ (3 ეპიზოდი 1 სთ)**, რომელიც ძალიან მალე გახდა პოპულარული ახალგაზრდებში, ხოლო პროექტი „წითელი სკამი“ სატელევიზიო ეთერში გაზაფხულის სეზონიდან ჩაეშვება.
- **მეოთხე კვარტალში მომზადდა პროექტი „იოგა“ (30 ეპიზოდი 12-15 წთ)**, რომელიც ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც დიდებში, ასევე პატარებში.
- შემოდგომის სატელევიზიო სეზონზე (მეოთხე კვარტალში), „ტელესკოლის“ არხი შეიფუთა ძალიან ბევრი მოკლე, 2-3 წუთიანი, შემეცნებითი ვიდეოტიხრით, რომელიც გაერთიანდა ორ პროექტში **„კოსმოსი“ (80 ეპიზოდი)**, რომელიც გვასწავლის ყველაფერს კოსმოსის შესახებ და **„ჩვენი პლანეტა“ (130 ეპიზოდი)**, რომელიც გვაცნობს ფლორასა და ფაუნას და თითოეული ეპიზოდის ფარგლებში გვიყვება რომელიმე ფრინველზე, ცხოველზე, მცენარეზე და ა.შ. აღნიშნული ვიდეოტიხრების მსგავსად შეიფუთა ახალი წლის ეთერი და დამატებით მომზადდა 16 ვიდეოტიხარი, რომლის თემატიკაც მხოლოდ ახალ წელს ეხებოდა. აღნიშნული ვიდეოების დახმარებით მთელი ეთერი უფრო საინტერესო და შემეცნებითი კონტენტით დაიტვირთა.
- გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობდა „კოსმოსის“ ვიდეოები, მეოთხე კვარტალში დამატებით მომზადდა პროექტი **„ტელესკოპი“**, ასტრონომიის მოყვარულთათვის. კოსმოსით გატაცებული გმირის დახმარებით გადაცემა გვიყვება საინტერესო ფაქტებს ასტრონომიაზე და ამავედროულად კოსმოსზე დაკვირვების პროცესის თანამონაწილეებს გვხდის;
- მიმდინარეობს მუშაობა ორ პროექტზე - ზღაპარზე **„გოდოს ქობი“** და გრაფიკულ ვიდეო დღიურზე, **„Chek In“**, რომელიც მსოფლიოს გარშემო გვამოგზაურებს და უკეთ გვაცნობს სხვადასხვა ქალაქის გეოგრაფიას, კულტურას და ღირშესანიშნაობებს. აღნიშნული პროექტების ეთერში გაშვება იგეგმება 2022 წლის გაზაფხულის სეზონიდან.



**ტელესკოლა 2021**  
FULL HD

სასწავლო პროექტი	გასართობი შოუ	შემეცნებითი პროექტი	შემეცნებითი ვიდეო
<b>780</b> ეპიზოდი	<b>45</b> ეპიზოდი	<b>106</b> ეპიზოდი	<b>800</b> ტიხარი



# სიასტეაბი სათერო ბაღუი

## | “რანინა”

საბავშვო მუსიკალური შოუ „რანინას“ მეოთხე სეზონმა წარმატებით ჩაიარა, გამოვლინდა კონკურსის გამარჯვებული ნიკოლოზ ქაჭაია და საქართველოს ხმა 2021 წლის საბავშვო ევროვიზიაზე.

## | ევროვიზიის სიმღერის კონკურსი

2021 წლის საბავშვო ევროვიზიაზე „რანინას“ გამარჯვებული ნიკოლოზ ქაჭაია წარმატებით წარდგა და საპატიო მეოთხე ადგილი დაიკავა.

## | “მასტერპუი “

2021 წლის სექტემბერში, პირველი არხის ეთერში სტარტი აიღო კულინარიული მეგა შოუს მეექვსე წარმატებულმა სეზონმა.

## | “მეშველები”

2020 წლის სექტემბრის თვეში, პირველმა არხმა მაყურებელს წარუდგინა ტექნოლოგიურად მაღალი ხარისხის საბავშვო ანიმაციური სერიალი, რომელიც შემეცნებითი თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი პროდუქტია და ანალოგი არ აქვს საქართველოს ტელევიზორებში. 2021 წლის სექტემბრის თვეში ეთერში გავიდა სერიალის მესამე სეზონი.

## | „იდეალური დედა“

2021 წლის სექტემბერში, პირველი არხის ეთერში გავიდა მაყურებლისთვის კარგად ცნობილი და საყვარელი სერიალის “იდეალური დედა” კიდევ ერთი სეზონი, ძველი და ახალი გმირებითა და მათი საინტერესო ისტორიებით.

## | „შარქ თენქი საქართველო“

2021 წლის გაზაფხულზე, საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე იქნა მიღებული გადამწყვეტილება, მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო პროექტის „შარქ თენქი“, ლიცენზიის შეძენისა და წარმოების შესახებ. პროექტი წარმატებით გავიდა ეთერში საქართველოს პირველი არხის შემოდგომის სეზონზე და დიდი რეზონანსი გამოიწვია, როგორც მაყურებელში, ასევე, ბიზნეს სფეროში.

ეს არის პროექტი, რომელიც ბიზნესს საშუალებას აძლევს მოიპოვოს დაფინანსება, პროცესს კი მაყურებელს საინტერესო ფორმით სთავაზობს. პირველ სეზონზე, ჯამში, 1.5 მლნ ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა.



## | „წიგნების თარო“

საგანმანათლებლო პროექტის 13 გამარჯვებული მონაწილე გაემგზავრა კემბრიჯში, რაც გახლავთ პროექტის ჟილდო. აგვისტოს თვეში მოხდა პროექტის დეკორაციის განახლება და 22 ოქტომბრიდან ეთერში შევიდა „წიგნების თარო“ სტუდენტური და 25 ოქტომბრიდან „წიგნების თარო“ სასკოლო სეზონები.

## | „რა? სად? როდის?“

სექტემბრის თვეში, პირველი არხის ეთერში სტარტი აიღო გადაცემის საშემოდგომო სეზონმა და პირველი თამაშის ფარგლებში მაყურებელი შეხვდა ინტელექტუალური კლუბის ახალ გუნდს, რომელიც დაკომპლექტდა პირველი არხის თანამშრომლებისგან. შემოდგომის სეზონის შემდგომ დაიწყო ზამთრის სეზონი, რომელმაც ასევე წარმატებით ჩაიარა.

## | „მარტივი ლოგიკა“

საერთაშორისო ლიცენზირებული პროექტი „მარტივი ლოგიკა“ სექტემბრის თვეში გავიდა პირველი არხის ეთერში, განახლებული დეკორაციითა და შეფუთვით.

## | „მუსიკის 12 მოციქული“

დავით ევგენიძის საავტორო გადაცემა „მუსიკის 12 მოციქულის“ ფარგლებში, პირველმა არხმა გამოაცხადა საავტორო სიმღერის კონკურსი და შვიდი საუკეთესო სიმღერის პრემიერა სულ მალე შედგება ეთერში.

## | „დოსიე“

ჰაატა ქურდაძის საავტორო გადაცემის „დოსიე“ ახალი სეზონის ფორმატს დაემატა სტუმრის ბლოკი, სადაც მაყურებელი ისმენს წარმოდგენილი ფილმის გარჩევას საინტერესო სტუმრებთან ერთად.

## | „ფერმა“

გადაცემას ჰყავს ახალი წამყვანი, გიორგი ტატანაშვილი, რომელიც უკვე შეიყვარა მაყურებელმა.

## | „რეალური სივრცე“

ყოველკვირეული სოციალური თოქ შოუ ეთერში გავიდა განახლებული სტუდიით.

## | „ტაიმაუტი“

ყოველდღიურ სპორტულ გადაცემას „ტაიმაუტი“ შეეცვალა საეთეროდრო, პროექტმა გადაინაცვლა სადამოს ეთერში და, ასევე, დაემატა ახალი წამყვანი - ქეთევან ხატიაშვილი.

## | ახალი წელი

2021 წლის 30 დეკემბერს საქართველოში პირველი ტელემაუნწყებლობიდან 65 წელი შესრულდა, ამასთან დაკავშირებით, პირველ არხზე დაიგეგმა მხატვრულ-მუსიკალური ფილმის გადაღება. ფილმი სატელევიზიო ეთერის გარდა ნაჩვენები იყო კინოთეატრში.

## | საპილოტე ფაზაში მყოფი პროექტები


კინო თამაში

ქართული ფანტასტიკური ჟანრის სერიალი

ქართული მელოდრამა-სერიალი

ბიოგრაფიული ჟანრის სერიალი


კულინარიული შოუ მოზარდებისთვის



# ცელულოზები

ახალი სეზონიდან, ყოველ შაბათს საღამოს რვა საათზე ეთერში გადის მაუწყებლის ახალი პროექტი „ტელედოკი“. პროექტის ფარგლებში მაყურებელმა უკვე იხილა ფილმები:

- „უხილავი ძაფებით“ - ავტორი და რეჟისორი: ნინო კაკაურიძე;
- „ყველაფერი სიყვარულით იწყება“ - ავტორი და რეჟისორი: ვახტანგ კუნცევი-გაბაშვილი;
- „სარკის მიღმა“ - ავტორი და რეჟისორი: თათია ახალშენაშვილი;
- „ტყის მცველი“ - ავტორი და რეჟისორი: ანა ბარჭაძე;
- „მღვიმეების საიდუმლო“ - ავტორი და რეჟისორი: ბესიკ გაფრინდაშვილი;
- „გოგონა ველოსიპედით“ - ავტორი და რეჟისორი: ლევან შუბაშვილი;
- „ფარსაგონი“ - ავტორი და რეჟისორი: ვახტანგ კუნცევი-გაბაშვილი;
- „ახალი მოქალაქე“ - ავტორი, რეჟისორი და ოპერატორი: ნათია არაბული - ვეგერი;
- „ფიქრებიდან“ - ავტორი და რეჟისორი: ლევან ბზვანელი.



27 ნოემბერს ეთერში გავიდა - პროექტი „უნივერსიტეტის დამფუძნებლები“ ფარგლებში შექმნილი მორიგი დოკუმენტური ფილმი „ანდრია რაზმაძე“.

ფილმის რეჟისორი - ბესიკ გაფრინდაშვილი, სცენარის ავტორი - არჩილ შუბაშვილი, მთხრობელი - მერაბ კოკოჩაშვილი.

## | მნიშვნელოვანი მოვლენები/სამუშაოები/ნაბიჯები/სიახლეები

2021 წელს თბილისის 22-ე საერთაშორისო ფესტივალებზე ქართულ პანორამაში შერჩეულ იქნა და ფართო საზოგადოებას წარუდგინა საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამონაწილეობით შექმნილი ფილმები:

მოკლემეტრაჟიანი ფილმები:

- „ფუტკრის დაცემა“ - რეჟისორი: ვაჟა ჩაჩხიანი,
- „გუშაგები“ - რეჟისორი: სანდრო სულაძე,
- „პაპანაქება“ - რეჟისორი: თორნიკე გოგრიჭიანი - ფესტივალის სპეციალური პრიზი.
- „ნომერი 26“ - რეჟისორი: გვანცა მეფარიშვილი
- „მეზობელი“ - რეჟისორი: დავით ბორჩხიძე
- „აუზი“ - რეჟისორი: სალომე ლაცაბიძე
- „სასტუმრო მირაჟი“ - რეჟისორი: გურამ ბაქრაძე
- „შავი ზღვა“ - რეჟისორი: თინათინ ემირიძე, ხვიჩა ემირიძე
- „თანაგრძნობა“ - რეჟისორი: ზვიად ციკოლია

სრულმეტრაჟიანი ფილმები:

- „მეთხე ბრაიტონი“ - რეჟისორი: ლევან კოლუაშვილი - ჟიურის სპეციალური პრიზი
- „გვიანი შემოდგომა“ - რეჟისორი: გია ბარაბაძე.

გრძელდება პროექტები:

- დასრულდა გადაღებები დოკუმენტური ფილმის „ქართველი მოდერნისტები“, რეჟისორი ანდრო ჭიაურელი, სცენარის ავტორები: ნანა ყიფიანი, მიხეილ ბასილაძე.
- დასრულდა გადაღებები დოკუმენტური ფილმისა „დრო აღარ ითმენს (აჭარის დაბრუნება)“. რეჟისორი შალვა შენგელი, სცენარის ავტორი - ნინო ნატროშვილი.
- გრძელდება კომპანია „შვიდკაცა“-თან ერთად (ერთობლივი თანაწარმოება) 5 სერიანი მხატვრული ფილმის პროექტის - „იუნკრები“, მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები. რეჟისორი გიორგი ბარაბაძე, სცენარის ავტორები: გიორგი ბარაბაძე, კოტე ჯანდიერი, შადიმან შამანაძის მონაწილეობით.
- 2021 წელს ჩაეშვა და 2022 წელს საახალწლოდ ეთერში გავიდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ანონსების ჯგუფთან ერთად შექმნილი რეჟისორ ამირან დოლიძის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კაფსულა 1956“. ფილმი ეძღვნება საქართველოს ტელევიზიის მაუწყებლობის 65 წლისთავს.

## | სამომავლო გეგმები

მომავალ კვარტალში გაგრძელდება ზემოხსენებული პროექტების გადაღებები. გათვალისწინებულია კვლევის ეტაპზე მყოფი კიდევ რამდენიმე პროექტის განვითარება.

2022 წლისთვის ჩაეშვა ნარგიზა გარდაფხაძის დოკუმენტური ფილმის პროექტი „თბილისის ოპერის ხანძარი“.

2022 წელს დასრულდება:

- დოკუმენტური ფილმი „ქართველი მოდერნისტები“ რეჟისორი: ანდრო ჭიაურელი, სცენარის ავტორი: ნანა ყიფიანი, მიხეილ ბასილაძე
- დოკუმენტური ფილმი „დრო აღარ ითმენს (აჭარის დაბრუნება)“ იდეის ავტორი მამუკა არეშიძე, სცენარის ავტორი: ნინო ნატროშვილი

2022 წელს გაგრძელდება „ტელედოკის“ პროექტი, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია 20-მდე ორიგინალური დოკუმენტური პროექტის განხორციელება.

2022 წელს დაგეგმილია პროექტი „უნივერსიტეტის დამფუძნებლები“ ფარგლებში ორი დოკუმენტური ფილმის შექმნა, რეჟისორის ბესიკ გაფრინდაშვილის მიერ.

## | საქართველოს რადიოს წინასაარჩევნო მედიაამონიტორინგის შედეგები

პირველმა არხმა საქართველოს რადიოს ეთერის, 13 აგვისტოდან - პირველ ოქტომბრამდე ჩატარებული წინასაარჩევნო მედიაამონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა.



## | ტრენინგი პოლიკასტის თემაზე

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და EBU-ს რეგიონულმა აკადემიამ პირველი არხის ბაზაზე არსებულ რეგიონულ სასწავლო ცენტრში ონლაინ და რადიო თანამშრომლებისთვის პოლიკასტის მომდევნო ტრენინგი გამართეს.

ტრენინგის პროგრამა პოლიკასტერებს სთავაზობს შესაძლებლობას, საფუძვლიანად შეისწავლონ და განავითარონ საჭირო უნარები, რომ მსმენელს შესთავაზონ თხრობის, ხმის დიზაინის და სოციალური საზოგადოების შექმნის მაღალი დონე. სამდღიან მასტერკლასს დისტანციურ რეჟიმში გაუძღვნენ საერთაშორისო მედია კონსულტანტი და ტრენერი ჭასტინ ქინგსი და აუდიო/ვიდეო პროდიუსერი მაიქლ ქერლინგი.

საქართველოს პირველი არხისა და ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) თანამშრომლობითა და დაფინანსებით, საქართველოში მუდმივმოქმედი ჟურნალისტური, რეგიონული აკადემია 2019 წლის დასაწყისში დაარსდა.



# ონლაინ მედია

საქართველოს პირველი არხის ონლაინ მედიის ჯგუფი აგრძელებს ვებპლატფორმაზე - Itv.ge მუშაობას.

შვიდენოვან საინფორმაციო პლატფორმაზე კვლავ გრძელდება როგორც მაუწყებლის ტელე და რადიოგადაცემების ატვირთვა, ასევე, დამოუკიდებელი ვებპროექტების წარმოება.

მომხმარებელი კვლავ აქტიურად იყენებს ახალი ამბებისა და რადიოს მობილურ აპლიკაციებს Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის.

მიმდინარეობს Itv.ge-ის ტექნიკური განახლება, დაემატა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქციონალი.

აპლიკაცია ITVPLAY-ზე მიმდინარეობს ოლიმპიადის სარეგისტრაციო ფორმის ტექნიკური სამუშაოები.

ITVPLAY-ის ვებგვერდის პროექტისთვის შემუშავდა ტექნიკური დავალება. აპლიკაცია Mobile TV-ის დაემატა LIVE ფუნქცია.


ონლაინ მომხმარებელთა რაოდენობა დინამიკურად ზრდადია ყველა პლატფორმაზე:

## საიტის Itv.ge სტატისტიკა

IV კვარტალი 2021	III კვარტალი 2021
ვიზიტი საიტზე - 7,032,996	ვიზიტი საიტზე - 8,472,732
უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 60,912	უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 72,900
საშუალოდ დღეში ვიზიტი: 76,446	საშუალოდ დღეში ვიზიტი: 84,700
<b>მაქსიმალური მაჩვენებელი - 172,000 (11/29/2021)</b>	<b>მაქსიმალური მაჩვენებელი - 194,400 (08/16/2021)</b>

## იუთუბარხების სტატისტიკა

IV კვარტალი 2021	III კვარტალი 2021
ნახვა - 34,200,000	ნახვა - 29,700,000
საშუალოდ დღეში ნახვა - 372,740	საშუალოდ დღეში ნახვა - 323,000
<b>მაქსიმალური მაჩვენებელი - 623,430 (15 ნოემბერი 2021)</b>	<b>მაქსიმალური მაჩვენებელი - 606,000 (28 ივლისი 2021)</b>





დღევანდელი მდგომარეობით, YOUTUBE-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ერთერთი ლიდერია ქართულ მედიაში.

დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ერთერთი ლიდერია ქართულ მედიაში.

## უეისბუქ-გვერდი - პირველი არხი

ვიდეოების საერთო ნახვა - 140,2 მილიონი - წინა წელთან შედარებით ნახვები მომატებულია 7,83%-ით

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 5,600,000 - წინა წელთან შედარებით მომატებულია 103%-ით



გვერდის საერთო ლაიკების რაოდენობა 403,612- გაზრდილია **15.33%-ით**

# ჩატარებული კვლევები

2021 წლის დეკემბრის ჩათვლით დაგეგმილი კვლევები:

- ✓ სატელევიზიო ბაზრის კვლევა;
- ✓ ტელეაუდიტორიის კვლევა;
- ✓ ინტერნეტაუდიტორიის კვლევა;
- ✓ რადიოაუდიტორიის კვლევა;
- ✓ აუდიტორიის სეგმენტაცია;
- ✓ საიმიჯო კვლევა.

ჩატარდა ტელე-აუდიტორიის კვლევის მეოთხე ტალღა. კვლევის მიზანი: ტელევიზიების საინფორმაციო კონტენტის მიმართ ნდობა, რეგულარული ტელევიზია, პირველი არხის გადაცემების ცნობადობა და ყურების გამოცდილება. კვლევის მეთოდი: სატელეფონო კვლევა

ქვეყანაში არსებული კოვიდსიტუაციის გათვალისწინებით, მეოთხე კვარტალში დაგეგმილი კვლევების გარკვეული ნაწილის შესრულების ვალდებულების ვადა გადაინია 2022 წლის ივნისის ბოლომდე.

გაუწყებლის კლასიფიკაციაზე გაუქმებული ინფორმაციის მონიტორინგის კუთხით მეოთხე კვარტალში შესრულებული სამუშაო:

საქართველოს პირველი არხის მიერ 2019 წლის აპრილიდან დაინერგა მონიტორინგის სისტემა, რომელიც უნიკალური პროგრამის (© 2019 - TvAnalytics) საშუალებით უზრუნველყოფს მაუწყებლის ყველა პლატფორმაზე გაშუქებული თემების და სუბიექტების რაოდენობრივ აღრიცხვას.

1. მომზადდა და გამოქვეყნდა თვითმმართველობის არჩევნების გაშუქების მონიტორინგის [ანგარიში](#) 13 აგვისტოდან 30 ოქტომბრის ჩათვლით;
2. მომზადდა და გამოქვეყნდა საქართველოს რადიოში თვითმმართველობის არჩევნების [გაშუქების](#) ანგარიში 13 აგვისტოდან 1 ოქტომბრის ჩათვლით;

# ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეები

## ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური - შესრულებული სამუშაოები

მეოთხე კვარტალში გაგრძელდა ავტომატიზირებული მაუწყებლობის განყოფილების ტექნიკური კონფიგურაციის სრულყოფა. კერძოდ, დაინერგა მაუწყებლობის გრაფიკის ავტომატიზირებული ფუნქციონირების სამუშაო სქემები, გრაფიკული შაბლონების მონაცემებით შევსების ტექნოლოგია და მათი ეთერში გაშვების უზრუნველყოფა.

ჩატარდა საკომუტაციო სქემების ოპტიმიზაცია - ზედმეტი, არასაიმედო რგოლების ამოგდებისა და ოპტიმალური კომუტაციის სქემების დანერგვა.

ახალი ამბების ბლოკში დასრულდა ახალი ამბების სტუდიის, სარეჟისორო სააპარატოების, ინჯესტის ყველა აპარატურის მონტაჟი და ყველა სისტემის საბოლოო კონფიგურაცია. შესაბამის პერსონალთან ჩატარდა დამატებითი ტრენინგები და სამუშაო სქემების ოპტიმიზაცია. გამოვლინდა პროგრამული უზრუნველყოფის რამდენიმე უზუსტობა და მოხდა მათი გასწორება მომწოდებელ კომპანიებთან კოლაბორაციით. მოხდა პროგრამული სისტემების დამატებითი კონფიგურაცია და მორგება მაუწყებლის ახალი ამბების წარმოების სქემებთან, მაქსიმალური ეფექტურობის მისაღწევად.

რეგულარულად ტარდებოდა ახალი ამბების წარმოების და ეთერში მაუწყებლობის ყველა შემადგენელი ეტაპის სწავლება-ვარჯიში, კერძოდ, მასალის გადაღების, ინჯესტის, ტექსტის რედაქტირების, მონტაჟის, გრაფიკული გაფორმების, გამოშვებების დაგეგმარების და ეთერში გაშვების პროცედურები. ყოველდღიურად მიმდინარეობდა ახალი ამბების რეალური გამოშვებების მომზადება და ეთერში გაშვება, შიდა მაუწყებლობის რეჟიმით. გამოშვებების შემდეგ უზუსტობების გარჩევა და ოპტიმიზაცია. ამდენად, განხორციელდა ახალი ამბების სისტემის სრული მასშტაბით ათვისება და საეთეროდ მომზადება.



# იურიდიული სამსახურის ანგარიში

## 1. ხელშეკრულებების შესახებ

2021 წლის მე-4 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 215 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

## 2. სასამართლო და საელსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2021 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო	საჯარო ინფორმაციის გაცემა	<ul style="list-style-type: none"> <li>- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</li> <li>- გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში</li> <li>- სააპელაციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა საკასაციო წესით.</li> <li>- ამ ეტაპზე საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს საკითხს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შესახებ.</li> </ul>
2.	ფ/პ ავთანდილ ძიძიგური	უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა
3.	შპს “სტუდია ფონოგრაფი“	სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით	<ul style="list-style-type: none"> <li>- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</li> <li>- გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.</li> </ul>
4.	ალექსანდრე ჯანდიერი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<ul style="list-style-type: none"> <li>- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</li> <li>- ალ. ჯანდიერის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.</li> </ul>

5.	<b>ალექსანდრე ჟღენტი</b>	საავტორო უფლებების აღიარება, საავტორო უფლებების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით	<p>_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში</p> <p>- მოსარჩელის გარდაცვალების გამო, სასამართლოს განჩინებით ერთი წლის ვადით შეჩერდა საქმის წარმოება.</p>
6.	<b>საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია</b>	საჯარო ინფორმაციის (კერძოდ, მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-20 <sup>1</sup> მუხლით განხორციელებული შესყიდვების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" დაევალა მხოლოდ რეზიდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადაცემა მოსარჩელისთვის პერს. მონაცემების მითითების გარეშე (ანუ, დამტრიახული სახით).</p> <p>- იმ ნაწილში, რითაც არ დაკმაყოფილდა საიას სარჩელი, საიას-ს მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოში და სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით</p>
7.	<b>საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია</b>	საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p>
8.	<b>ალექსანდრე ხოჯავა</b>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა.</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება;</p> <p>ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე და საზოგადოებრივ მაუწყებელს ალ. ხოჯავას სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება.</p> <p>_ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებით, ალ. ხოჯავას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მას უარი ეთქვა სამუშაოზე აღდგენაზე, ხოლო, საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეთა მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით.</p>
9.	<b>საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია</b>	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება	<p>_ მოცემულ საქმეზე სსიპ "საზოგადოებრივი" მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად.</p> <p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p>
10.	<b>ანა ტურაბელიძე</b>	დისციპლინური სანქციის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც გასაჩივრდება სააპელაციო სასამართლოში.</p>
11.	<b>დონარა შონავა</b>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელეს უარი ეთქვა სამსახურში აღდგენაზე, ხოლო, საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა შესაბამისი კომპენსაციის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.</p>

12.	<b>შპს "მკს"</b>	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს - 20 123,24 ლარის დაკისრება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სსიპ "საზოგადოებრივ მუწყებელს" დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 3 000 ლარის ოდენობით, რაც გასაჩივრდა მხარეების მიერ აპელაციის წესით.</p> <p>_ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა შპს "მკს"-ის სააპელაციო საჩივარი. ამასთან, სსიპ "საზოგადოებრივი მუწყებლის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მუწყებელს დაეკისრა პირგასამტეხლოს სახით 1 435,82 ლარის გადახდა.</p> <p>_ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეთა მიერ გასაჩივრებულია კასაციის წესით.</p> <p>- საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, მხარეთა საკასაციო საჩივრები დარჩა განუხილველი და საქმე დასრულებულია.</p>
13.	<b>გიორგი სუხიტაშვილი</b>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
14.	<b>მარიამ სონიშვილი</b>	ვადის განსაზღვრის ნაწილში შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
15.	<b>დადი ბარაბაძე</b>	ზიანის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
16.	<b>ნეგზარ ჩხაიძე</b>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	<p>- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება და საზოგადოებრივ მუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა</p> <p>_ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, უარი ეთქვა საზოგადოებრივ მუწყებელს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ხოლო, ნ. ჩხაიძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და საზოგადოებრივ მუწყებელს დაევალა ნ. ჩხაიძის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.</p> <p>- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საზოგადოებრივი მუწყებლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საზოგადოებრივ მუწყებელს დაევალა ნ. ჩხაიძის სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, რაც საზოგადოებრივი მუწყებლის მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით.</p>

17.	<b>ქეთინო დეკანოზიშვილი</b>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:</p> <p>1. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენ. დირექტორის ბრძანება ქ. დეკანოზიშვილთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ;</p> <p>2. საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ქ. დეკანოზიშვილის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რითაც არ დაკმაყოფილდა მხარეთა სააპელაციო საჩივრები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილი იქნა საკასაციო საჩივარი, რომელიც განუხილველად იქნა დატოვებული.</p> <p>შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა სარჩელი მხოლოდ სამუშაოზე აღდგენის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში, რაც სრულად დაკმაყოფილდა.</p> <p>- გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.</p>
